

ელექტროტექნიკის და ელექტრონიკის საფუძვლები;
ზოგადი ელექტროტექნიკა
I,II სემესტრი. 2020-2021 წელი
(დასკვნითი გამოცდის ნიმუში)

Question 1

ელექტროენერგიის გამომუშავება, გადაცემა, განაწილება და გამოყენება რომელი სახის ელექტროსისტემით ხდება?

Select one:

- ☐ a. ორფაზა ელექტრო სისტემით .
- ☐ b. ერთფაზა ელექტრო სისტემით ;
- ☐ c. ოთხფაზა ელექტრო სისტემით ;
- ☐ d. სამფაზა ელექტრო სისტემით ;

Question 2

როგორი დამოკიდებულება არსებობს ხაზურ და ფაზურ დენებს შორის, სამფაზა ელექტრული წრედის ვარსკვლავისებური შეერთების დროს?

Select one:

- ☐ a. $I_b > I_{\text{ფ}}$
- ☐ b. $I_b = I_{\text{ფ}}$
- ☐ c. $I_b < I_{\text{ფ}}$
- ☐ d. $I_b = \sqrt{3} I_{\text{ფ}}$

Question 3

რომელი ტრანსფორმატორის დამონტაჟება ხდება ელექტრომომარაგების სისტემაში გენერატორსა და გადამცემ ხაზს შორის?

Select one:

- ☐ a. ამწევი ტრანსფორმატორის;
- ☐ b. გაწონასწორებულის.
- ☐ c. დამწევი ტრანსფორმატორის;
- ☐ d. ცალმხრივი;

Question 4

რას უწოდებენ სინქრონული მანქანის როტორს, რომელიც დამზადებულია ცხადად გამოსახული გამოშვებული პოლუსებით?

Select one:

- ☐ a. ფაზური როტორს;
- ☐ b. მაგნიტური როტორს.

- ☐ c. მოკლედშერთული როტორს;
- ☐ d. ცხადპოლუსიან როტორს;

Question 5

რას უწოდებენ ატომებს შორის ისეთ კავშირს, როდესაც ხდება სავალენტო ელექტრონების წყვილ-წყვილად გაერთიანება, რის შედეგადაც ატომების ირგვლივ წარმოიქმნება მდგრადი რვაელექტროდიანი გარსი?

Select one:

- ☐ a. კოვალენტური კავშირი;
- ☐ b. მდგრადი კავშირი;
- ☐ c. ატომური კავშირი.
- ☐ d. ვალენტური კავშირი;

Question 6


რაშია მოთავსებული ნახევარგამტარული დიოდის მუშა ორგანო ანუ P-n გადასასვლელიანი ნახევარგამტარის კრისტალი?

Select one:

- ☐ a. ჟანგბადით სავსე ავზში;
- ☐ b. ჰერმეტიკულად დახურულ კოსპუსში;
- ☐ c. სპეციალურ ზეთში.
- ☐ d. წყალში;

Question 7

რა არის გამოსახული ნახაზზე?



Select one:

- ☐ a. ტრანსფორმატორი;
- ☐ b. რეოსტატი;
- ☐ c. რეზისტორი.
- ☐ d. ნახევარგამტარული დიოდი;

Question 8

რომელი სისტემების ითვალისწინებს მინიატურული სისტემების შექმნას, როგორიცაა: მიკროსენსორები და აქტიუატორები, მიკრომექანიზმები და მიკროძრავები, გენერატორები და

ტირბინები, მიკროანალიზური ხელსაწყოები, მიკროინსტრუმენტები და ზემინიატურული რობოტები?

Select one:

- ☐ a. მაკროტექნოლოგიები
- ☐ b. ჰიდროტექნოლოგიები
- ☐ c. მინიტექნოლოგიები
- ☐ d. ნანოტექნოლოგიები